572/1
1987/2

ISSN 0135-5705

ჭიკჭიკი

1987 აპრილი № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადეჟდა კრუპსკაია

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი

— მამა, — უთხრა ვასიამ მამას, — მიამბე იმ ძიაზე, — და კედელზე ჩამოკიდებულ სურათზე მიუთითა.

— იცი, ვინ არის?

— როგორ არ ვიცი, ლენინია.

— ჰო, ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, ჩვენი საყვარელი ბელადი. აბა, მისმინე: მაშინ ახალგაზრდა ვიყავი. მუშები ცუდად ვცხოვრობდით. მძიმე სამუშაო გვქონდა. დილიდან საღამომდე ოფლს ვღვრიდით და მაინც ვშიმშილობდით. ქარხანაში ბევრნი ვმუშაობდით. ქარხნის მეპატრონე დანილოვი იყო. თვითონ თითსაც არ ანძრევდა და განცხრომით კი ცხოვრობდა.

საიდან ჰქონდა ამდენი ქონება? ჩვენ გვამუშავებდა და გროშებს გვიხდიდა. ერთი სიტყვით — გვძარცვავდა, ჩვენი ოფლით ცხოვრობდა. მას ქარხანაც ჰქონდა, ფულიც, მანქანებიც. ჩვენ კი საკუთარი ხელების მეტი არაფერი გაგვაჩნდა.

ჰოდა, იძულებული ვიყავით მასთან გვემუშავა. განა მარტო დანილოვის ქარხანაში იყო ასე! ყველა ფაბრიკა-ქარხანაში ასეთი ამბავი ხდებოდა.

გლეხებსაც ძალიან უჭირდათ. მათ ცოტა მინა ჰქონდათ, მემამულეებს კი — ბევრი. გლეხები მემამულეებს ემსახურებოდნენ და ძალიან ღარიბად ცხოვრობდნენ; მემამულეები კი ფუფუნებაში იყვნენ.

მემამულეებს და კაპიტალისტებს მხარში ედგათ მეფე — ყველაზე მთავარი და ყველაზე მდიდარი მემამულე. იგი ყველას ბატონი გახლდათ. ისეთი წესრიგი შემოიღო, მარტო მემამულეებსა და კაპიტალისტებს რომ აძლევდა ხელს, მუშებსა და გლეხებს კი სულს ხდიდა.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მუშების მეგობარი და ამხანაგი იყო. ლენინს სურდა, ყველა მშრომელს კარგად ეცხოვრა. იგი მუშათა საქმისათვის იბრძოდა.

ლენინი აგროვებდა იმ ხალხს, ვინც მუშების მხარეზე იყო. ამით მუშათა პარტია — კომუნისტების პარტია თანდათან იზრდებოდა და მტკიცდებოდა.

პარტია ხედავდა, რომ უბრძოლველად ვერაფერს მიაღწევდა. ყველა ქვეყნის მუშებიც ამ აზრს იზიარებდნენ.

მუშებს უყვარდათ ლენინი, მემამულეებსა და კაპიტალისტებს კი სძულდათ. მეფის პოლიცია აპატიმრებდა ლენინს, შორეულ ციმბირში ასახლებდა. უნდოდათ, სამუდამო კატორღაში ჰყოლოდათ.

ლენინი საზღვარგარეთ გაემგზავრა და იქიდან აძლევდა რუსეთის მუშებს რჩევა-დარიგებას. მერე კი ისევ დაბრუნდა და მათს ბრძოლებს ხელმძღვანელობდა.

1917 წლის თებერვალში მუშებმა და ჯარისკაცებმა განდევნეს მეფე, 1917 წლის 7 ნოემბერს კი მემამულეები და კაპიტალისტებიც მოიშორეს, ჩამოართვეს მიწები, ქარხნები, ფაბრიკები და ხელში აიღეს ძალაუფლება.

ახლა უკვე მუშები და გლეხები თავიანთ საქმეს თვითონ განაგებდნენ.

ლენინი და მისი პარტია მშრომელებს ახალი ცხოვრების მოწყობაში ეხმარებოდნენ.

ბევრი სამუშაო და საზრუნავი ჰქონდა ლენინს, ამიტომ მალე ჯანმრთელობამ უმტყუნა და 1924 წელს გარდაიცვალა.

ძალიან დაგვამწუხრა ლენინის სიკვდილმა, მაგრამ მის ნათქვამს არასოდეს დავივიწყებთ. ვცდილობთ, ყველაფერი ისე გავაკეთოთ, როგორც ლენინი გვირჩევდა.

თარგმნა ლეილა ერაძემ.

572
1987/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ძნელაძე

პატარა ბიჭი ვარ

მე ჯერ პატარა ბიჭი ვარ,
ჯერ ჩემი საქმე წიგნია!
დილდილაობით სკოლისკენ
სიმღერ-სიმღერით მივდივარ.
მუდამ პირველი ვიქნები,
მუდამ ხუთებზე ვისწავლი,
მეცა მაქვს ჩემი ოცნება,
მეცა მაქვს ჩემი მიზანი.
ვისაც რა უნდა, ის გახდეს,
სულ სხვაა ჩემი ფიქრები:
მე ცაში მინდა ნავარდი,
მე კოსმონავტი ვიქნები!
დღეს თუ დარია მზიანი,
დარი იქნება ხვალ ისევ!..
ცისფერ ხომალდში ჩაგაჯენთ
და გაგაქროლებთ მთვარისკენ.

18469

მხატვარი ლალი ლომთაძე

საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყვალა მრევლიშვილი

ნამეტანი მოლხენით

ორთვალაზე—დათუჩა,
ორთვალაში—კაკუჩა!
ჩაუარეს შინდიანს,
ქალაქისკენ მიდიან.
მირახრახდა ორთვალა,
მორახრახდა ორთვალა,
რა იყაჯრეს?
ვერაფინ ვერ მოთვალა!
ჩაუარეს ფოთლიანს,
ფართიფურთით მოდიან.
ჩაუარეს ბანტიანს,
ბარგი დაუფანტიათ!
ჩაუარეს ბალახებს,
ერთმანეთი გალახეს!
ჩაუარეს წიფლიანს,
შუბლზე კოპებს ითვლიან.
ჩაუარეს ღელიანს,
მღერიან და მღერიან.
ჩაიარეს წაბლნარი,
ჩაეირავდნენ ღელეში,
ორივეა დამბალი!
შინ როგორდა მივიდნენ?
რა ვიცით!
ცარიელი ორთვალა
წარახრახდა თავისით!



ბავშვებო, ჩვენს საყვარელ მწერალს რევაზ ინანიშვილს სამოცი წელი შეუსრულდა!

ამბობენ, ყოველი მწერალი საკუთარ ნაწარმოებს ჰგავსო. ალბათ ამიტომაცაა მისი მოთხრობები ასე კეთილი, ამაღლებული და სიბრძნით სავსე. ისინი გულმართალ სიყვარულს და კაცურად ცხოვრებას გვასწავლიან. ჩვენი ნება რომ იყოს, ბაბუა რეზოს ყველა მოთხრობას ერთ წიგნად ავკინძავდით, „ყმაწვილთა სამაგიდო წიგნს“ დავარქმევდით და ყველას დავურიგებდით. სხვათა შორის, აქ სიტყვა „ბაბუა“ შემთხვევით არ გვიხსენებია. რევაზ ინანიშვილი ორი შვილიშვილის ბაბუაა და თუ აქამდე შვილებისათვის წერდა, ახლა შვილიშვილებისათვის წერს, ამას იქით შვილთაშვილებისათვის დაწერს, მერე— შვილთაშვილიშვილებისათვის... ამასობაში თქვენც, მის მწერლურ სამყაროში გაზრდილები, დავაუკაცდებით და წამოეშველებით.

ბავშვებო, მოდით ახლა ყველამ ერთად ბაბუა რეზოს მადლობა ვუთხრათ კარგი წიგნებისათვის, კიდევ იმისთვის, ჩვენს ურნალს ყურადღებას რომ არ აკლებს, მერე ისევ ყველამ ერთად ვუსურვოთ, მის კალამს მელანი არ შეშრობოდეს, ქართული სიტყვა არ შემოკლებოდეს, მისი ფიქრის სადინარიც კვლავ და კვლავ საქართველოს დედოღარზე ყოფილიყოს მიშვებული.

რევაზ ინანიშვილი

შავი კლდე

შავი კლდე ამაყად იდგა. ამაყად იდგებოდა, აბა რა! კლდის სიამაყე ხომ სიმაღლეა, სიმაღლე და მიუკარებლობა. შავი კლდე კი მაღალიც იყო და მიუკარებელიც; ქარიშხლებთან, ღვარცოფებთან, მეხთატეხასთან ნაბრძოლი; ჩამოფხავებული, გამოფიტული, გამოკაჟებული. შავი კლდე ამაყად გადასცქეროდა ქვეყანას. თითქოს მისთვის სულ ერთი იყო, რა ხდებოდა მის დაჩეჩქვილ მკერდზე. მკერდზე კი დიდი ამბავი ხდებოდა. გაბებღვილ, დარბაისელ დედა ჯოჯოს სავარჯიშოდ ჰყავდა გამოყვანილი ოთხი პატარა, პაწაწინა ჯოჯო.

— იყავით თქვენ თქვენს ადგილას და მე მიყურეთ, — ეუბნებოდა დედა ჯოჯო შვილებს. ჩავიდა დიდი ქვიდან ჩადაბლებაში, იმ ჩადაბლებიდან აუყვა პატარა ნაღარს, ღონივრად ეჭიდებოდა ბრჭყალებით აქეთ-იქით, აახოხდა წინ გადაღობილ ქვას, ჩამოეკიდა ნაბზარებს, ის ნაბზარები ცოტა მოემძვლა, ხრიალით წავიდა ქვემოთ მიწა, მაინც შეიმაგრა თავი, ავიდა მაღლა, გაძვრა მილივით შეკრულ ღრმულში, ზურგიდან შემოუარა გადმოკიდებულ ლოდს, ავიდა ზედ, გადმოდგა იქიდან და გადმოსძახა შვილებს:

— ხომ დაინახეთ!

— დავინახეთ, დავინახეთ! — მიუგეს თავაწეულმა პატარა ჯოჯოებმა.

— აბა, მაშ წამოდით! ფრთხილად და ყოჩაღად!

პატარა ჯოჯოებმა ერთმანეთს გადახედეს. ყოყმანობდნენ. ყველა სხვას უყურებდა, — შენ წადი პირველიო. არც ერთი კი არ მიდიოდა. მაშინ დედამ ისევ გადმოსძახა:

— ჰა! ჰა! ჩქარა!

წინ წამდგარი პატარა ჯოჯო დაიძრა. ისეთი დაფაციცებით მიდიოდა, ნამდვილად ეშინოდა. გაიარა ჩადაბლება, ავიდა ნაღარში, იქ გაჩერდა, სხეული უკანკალებდა, ნამდვილად ეშინოდა.

— ნუ გეშინია, ნუ! — აგულიანებდა დედა.

პატარა ჯოჯომ აიხედა, გული მოეცა, სულ ფაცხაფუცხით წავიდა. ნაბზარებს რომ მიაღწია, კიდევ ერთხელ შეჩერდა. იქ ხომ მიწა ჩამოეშალა დედას! ფიქრიანად იყურებოდა მაღლა. მერე თავი დაღუნა და ნაბზარებს შეაცოცდა, ავიდა, ავიდა, მიწის ნამცეციც არ დაჰგორებია.

— ყოჩაღ! ყოჩაღ! — გადმოსძახა დედამ.

გათამამებული პატარა ჯოჯო სირბილით

შევიდა მილივით შეკრულ ღრმულში, ამოჩნდა მაღლა, და იქ, სულ რომ არ მოელოდა, დაუცდა ფეხი და დაგორდა. დედა ჯოჯოს გული შეუქანდა, თვალები დახუჭა. მერე ფრთხილად გაახილა. გაუხარდა. პატარა ჯოჯო ღრმულის ქვემოთ უკანა ფეხებზე იჯდა და მხიარულად შეჰყურებდა დედას. გავარდა, შევარდა ღრმულში, ავიდა მაღლა, ზურგიდან შემოუარა გადმოკიდებულ დიდ ლოდს და დედას ამოუდგა გვერდით. პირი დაეღო, ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა. გახარებულმა დედამ თვალიერება დაუწყო, მარცხენა მხართან ენა აუსვა, ცოტა წაჰკლეტოდა პატარას.

— ეს არაფერი, გაიზრდები, დაგავიწყდება.

— დამავიწყდებაო, — თქვა პატარა ჯოჯომაც ამაყად და იმანაც დაბლა დაიწყო ყურება. დედა უკვე სხვა პატარა ჯოჯოებს ეძახდა:

— აბა, ახლა თქვენ! ნუ გეშინიათ! წამოდით ყოჩაღად!

ორნი წამოვიდნენ ერთად, ერთმანეთის მიყოლებით. ეტყობოდათ, იმათ უფრო ეშინოდათ, მაგრამ მაინც მაგრობდნენ. ამოვიდნენ ნაზზარებთან. ნაზზარებზე პირველი ჯოჯო ადვილად ავიდა, მეორეს კი მიწა მოემძვლა და მიწასთან ერთად ძირს მოადინა ხრიალი.

დედა ჯოჯომ კიდევ ერთხელ დახუჭა თვალები, კიდევ ერთხელ გაახილა გაუბედავად და ამჯერადაც გახარებული დარჩა. პატარა ჯოჯო უკვე ნაზზარებზე მიხოხავდა, ავიდა, მერე მილივით ღრმულში გაუჩინარდა, ისევ ამოჩნდა, თან ძალიან სწრაფად. თითქმის ერთად მივიდნენ დედასთან წინწამოსული პატარა ჯოჯო და ეს მეორე.

დარჩა ქვემოთ ერთიღა, ერთი პატარა ჯოჯო.

— აბა, ჰა! — გადასძახა დედამ და სწორედ იმ დროს თვალი მოჰკრა ვეება ძერას, რომელიც ლივლივით მოფრინავდა შავი კლდისაკენ.

— დაიმალე! — დაიძახა დედამ, — დაიმალეთ!

დაბლა დარჩენილი პატარა ჯოჯო მიბრუნდა, ფაცხაფუცხით გაიქცა და ბრტყელი ქვის ქვეშ შეძვრა. დედასთან მდგარი პატარა ჯოჯოებიც გაქრნენ, დედა ჯოჯომაც შეასწრო გადმოკიდებული ლოდის ქვეშ.

ძერამ წითელი თვალების ბრიალით გაულივლივა შავ კლდეს, მობრუნდა, ერთხელაც გამოუარა კლდეს, — კივუ!.. კივუ! — დაიძახა ორჯერ და წავიდა, გალივლივდა ჭალისკენ.

დედა ჯოჯო გადმოკიდებულ ლოდზე ავიდა. პატარა ჯოჯოებიც გამოვიდნენ. გამოჩნდა ქვემოთ დარჩენილი აკანკალებული ჯოჯოც.

— წამოდი! — გადასძახა დედამ.

— ვერა.

— წამოდი, წამოდი!

— ვერა, ვერა! — მიწას დაეკრა აცახცახებული პატარა ჯოჯო.

მაშინ დედა ჯოჯომ მასთან მყოფი პატარა ჯოჯოები გააფრთხილა, — თქვენ აქედან ფეხი არ მოიცვალოთო, — და თვითონ ქვემოთ დაეშვა. გადმოკიდებულ ლოდზე გადმომდგარი პატარა ჯოჯოები კისერდაგრძელებულები ჩამოსცქეროდნენ მშიშარა დაიკოს.

დედა ჯოჯო დაბლადარჩენილ შვილთან მივიდა.

—წადი შენ წინ! — უბრძანა წყნარად. პატარა ჯოჯო სიტყვის შეუბრუნებლად დაიძრა. უკან დედა მიჰყვებოდა. გაჩერდებოდა პატარა ჯოჯო, მოიხედავდა, ნახავდა, რომ დედა იქვე ედგა და წავიდოდა წინ. ნაზზარებზე დედა გვერდით მიჰყვებოდა. ნაზზარებს რომ ასცდნენ, დედა წინ გაიქცა, — ახლა შენ წამოდიო, ნულარაფრისა გეშინიაო. და მართლაც, ისე აიარა ღრმული, მერე ლოდის შემოსასვლელიც, ფეხი არ დასცდენია. პატარა, მშიშარა ჯოჯო უკვე მიხტოდა, მითამაშობდა.

ახლა ყველანი ერთად იყვნენ, ორი პატარა ჯოჯო მარჯვენივ ედგა დედას, ორიც — მარცხნივ. დედა ეუბნებოდა პატარა ჯოჯოებს:

— აი, ახლა, აი, აქ, გამოგიფრინათ ნემსიყლაპიამ. რას შვრებით, რას აკეთებთ თქვენ?

— კუდს ძირს დავცემ, შევხტები და პირს ვტაცებ, — დაიძახა სულ პირველად ამოსულმა პატარა ჯოჯომ.

— ახტები და აი, იქ, დაბლა მოადენ ტყა-

პანს! — კლდის ძირისაკენ ანიშნა დედამ, — თუ წინ დასასტომი ადგილი არა გაქვს, ახტომა არ შეიძლება.

სამმა პატარა ჯოჯო დაცინვით გადახედა ყოყლოჩინა ძმას, — ჭკუის კოლოფი ხარ ნამდვილიო.

დედამ ერთი რამაც იკითხა:

— მოგისწროთ ჯაფარამ და დაგეცათ. რას აკეთებთ პირველ რიგში?

— ზურგზე ვწვებით და ვიკუნტებით, კუდი, რაც შეიძლება, მაღლა გვაქვს აპრეხილი.

ეს ყველამ იცოდა, ერთმანეთს არ აცდიდნენ თქმას.

— კუდში რომ გტაცოთ ნისკარტი?

— ჯერ თვალებს ჩამოვკაწრავთ, მერე დავტრიალდებით და კუდს მოვწყვიტავთ.

— აბა, როგორ?

ოთხივე პატარა ჯოჯო ზურგზე დაწვა, მოიკუნტნენ და კუდები მაღლა აპრიხეს. დედა ჯოჯო ერთს ეცა კუდში. იმ პატარა ჯოჯომ ელვის სისწრაფით ჩამოუქნია ბრჭყალები, მერე გადატრიალდა, მაგრამ კუდი არ მოსწყვეტია, დედამ დროზე შეუშვა პირი.

— ყოჩაღო! — დაიძახა დედამ და ახლა ეს ბრძანა, — გამომყევით ყველანი უკანო!

წავიდა დედა ჯოჯო, კლდის მკერდს გაუყვა სიგანეზე, მიჰყვნენ პატარა ჯოჯოებიც მწკრივად. მიიყვანა ძირტკბილებიანში. ძირტკბილებს წვრილი ლოკოკინები შეხვეოდნენ. დედა უმტვრევდა იმ წვრილ ლოკოკინებს და ისე აძლევდა შვილებს. შვილები გემრიელად ჭამდნენ. ყოყლოჩინა პატარა ჯოჯომ, ყველგან რომ პირველობდა, აქაც პირველმა დაიძახა, — მე გავტეხე, მე თვითონ გავტეხე ლოკოკინაო. — ყოჩაღო! — შეაქო დედამ. მერე ერთმა პატარა ჯოჯომაც დაიძახა, — მეც გავტეხეო! — შენც ყოჩაღო! — იმასაც ასე უთხრა დედამ, თუმცა ორნი ამბობდნენ, — არა, დედა, არ გაუტეხიაო. — გავტეხეო! — ტყუილები არ იყოსო! — პატარა ჯოჯომ უხერხულად დახარა თავი.

კარგად რომ დანაყრდნენ, დედამ ახლა ეს თქვა:

— წავიდეთ ახლა და დავისვენოთო.

აქაც ის წაუძღვა პატარა ჯოჯოებს წინ. აქაც მწკრივად მიდიოდნენ. ჩავიდნენ დაბლა. იქ კლდეს გარდიგარდმო ღრმული გასდევდა და იმ ღრმულის ძირას სულ წმინდა, ფქვილივით წმინდა, თბილი მინა ეყარა. ის წმინდა მიწა ცოტაზე გაქექა დედამ, გაქექეს პატარა ჯოჯოებმაც და ყველანი რბილად ჩაწვნენ შიგ.

— დახუჭეთ თვალები და დაიძინეთ! — ბრძანა დედა ჯოჯომ. პატარა ჯოჯოებმა თვალები დახუჭეს და სწრაფად დაიძინეს. ჰო, იცით როგორ ხუჭავენ ჯოჯოები თვალებს! მათ ხომ ქუთუთოები არა აქვთ დურბინდივით წამონეულ თვალებზე?! უბარალოდ, ზემოთ აიბრუნებენ გუგებს. მხოლოდ დედა ჯოჯოლა იყო ფხიზლად. ის ამაყად გადახედავდა ხოლმე შვილებს. უხაროდა, რომ ჯანმრთელი, გამგონე და ძალიან ლამაზი შვილები ჰყავდა. უხაროდა, რომ მის ლამაზ შვილებს უკვე მშვენიერი კოჟოჟები ასხდათ შუბლზე. ეს კოჟოჟები ისევე უხდებოდათ, როგორც ადამიანებს ქოჩრები. გატუტუცებულ ხვლიკს კი არ უგავდა ჯოჯოს თავისი შვილები! რას გვანან ხვლიკის შვილები, თითქოს გაუყვლეფიათო ძვალ-რბილიანად. ან თვალები რას უგავთ! აი, თვალები ასეთი უნდა, როგორც ჯოჯოებს აქვთ, დურბინდივით.

— გამეზარდენით, გამიმრავლდით! — წარმოთქვა დედამ ვედრებით. ერთი ჩასთვლიმა, მაგრამ ისევ სწრაფად გამოფხიზლდა. ისევ ბედნიერების გამომეტყველებით დააცქერდა ჩაძინებულ შვილებს, პატარა, პაწაწინა ჯოჯოებს.

უკვე გულგული შუადღე იყო. შავი კლდე თითქოს სიამოვნებით უშვერდა მკერდს ვარვარა მზეს. უხაროდათ სიცხე თავგასიებულ ჭრიჭინებსაც, ჭრიჭინებდნენ, ჭრიჭინებდნენ — თავები დასკდომაზე ჰქონდათ.

— ჩვენზე გონიერი მოდგმაც არავინაა, — ამბობდა თავისთვის დედა ჯოჯო.

შავი კლდე სულ ჩუმად იყო, სულ ჩუმად. იქნებ ისიც ეთანხმებოდა დედა ჯოჯოს, მაგრამ კლდე ხომ იმდენად ამაყია, არასოდეს არ იტყვის ამისთანა რამეს! კლდე ჩუმად იყო.

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

ტყუპები

ხუთი წლის დები არიან
მარიამი და ნინო,
ვერ დაღლი, თუნდაც მთელი დღე
ახტუნო, არბენინო,
„მზიურისაკენ“ მიჭრიან,
იქ არის მათი კინო.
იქ, კაკლის ხეზე, ბებერი
ყვავი იძახის: — ყვა-ყვა,
მოწყენილია, მარტოა,
მოუნდათ მისი ნახვა.
იქვეა ზოოპარკიდან
გამოპარული ჩხიკვი,
აჯავრებს გამვლელ-გამომვლელს,
რად არ იღლება, მიკვირს.
ბეღურები და სკვინჩები
ლოცავენ ბროლის წყაროს:
ნეტავ სულ ასე იდინოს,
სულ ასე იწანწკაროს.
ხანდახან ისმის სიმღერა —
შაშვის კაკაბთან შებმა...
რამდენი რამე გაიგეს
ამ ცეროდენა დებმა.

შეკაზმულია, ხვიხვინებს
იქ კუზიანი კვიცი,
იქაურობა ორივემ
ხუთი თითივით იცის.
ბროწეულს ნუში მიჰყვება,
ტირიფს ეხვევა ფშატი...
ათასი ფშვინავს ყვავილი,
ათრობთ სურნელი მათი.
იქ ერთი თეთრი ლოდია,
დახედეს ოქროს ფოთოლს,
თქვეს: — მია ნოდარს, ჩვენს მწერალს,
იები დავუწყოთო.
უყვარდა მზე და სიცოცხლე,
ბრწყინვა უთვალავ ფერთა,
ჩვენს სიხარულზე ფიქრობდა,
ჩვენზე ლექსებსა წერდა.
სამშობლოს, მამულს შესწირა
გული, ნიჭი და მალა;
„მზიურიც“ თვითონ დაარქვა
თავის ოცნების ქალაქს.
იტყვიან,
დღეო, დაიცა,
მალე ნუ დაღამდები...
და წუთით მწვანე კორტოხზე
ჩამოსხდებიან დები.

ხატვარი ნანა ჭურღულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი მღებრიშვილი

ერთაწმინდა

საქართველოში ყველამ იცის დიდი მხედართმთავრის გიორგი სააკაძის სახელი და მისი ვაჟიშვილის — პაატას ტრაგიკული ისტორია.

ჩემო პატარა მეგობარო, იქნებ შენ ჯერ არ გსმენია?

აბა ყური დამიგდე.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში იმჟამინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს — ირანის გამუდმებულმა ლაშქრობებმა ერთიანად იავარქმნა და გადაბუგა ქართლ-კახეთი.

საქართველოს დაუძინებელ მტერს — შაჰ აბასს გადაწყვეტილი ჰქონდა სამუდამოდ მოესპო და მიწის პირიდან აღეგავა ჩვენი სამშობლო. 1625 წელს ყიზილბაშთა (ირანელთა) ლაშქარმა გადმოლახა საზღვარი და მარტყოფის ველზე დაბანაკდა. ქართველთა მცირერიცხოვანმა ჯარმა, სახელგანთქმული სარდლის გიორგი სააკაძის წინამძღოლობით, მუსრი გაავლო მომხდურს.

გამძვინვარებულმა შაჰმა ირანში მძევლად დატოვებულ გიორგი სააკაძის ვაჟზე — პაატაზე იძია შური, თავი მოჰკვეთა მას, და საშინელი ნობათი — შვილის მოჭრილი თავი — მამას გამოუგზავნა.

ქართველმა ხალხმა სამშობლოსათვის თავდადებული ბიჭის — პაატას თავი ქართლის ერთ-ერთ ულამაზეს ეკლესიაში — ერთაწმინდაში დაკრძალა.

ერთაწმინდა შუა საუკუნეების დიდი გუმბათოვანი ეკლესიაა. მისი ფასადი მორთულია ქვის ჩუქურთმებით და სამკაულებით. ეკლესია მდებარეობს კასპის რაიონში, სოფელ ერთაწმინდაში, სააკაძეების ძველ სამფლობელოში. აქედან ხელისგულივით მოჩანს ქართლის მშვენიერი სანახები.

საქართველოში ერთაწმინდა ყველაზე მეტად სწორედ იმითაა სახელმოხვეჭილი, რომ იქ ჩვენი ერის საამაყო შვილის — პაატა სააკაძის საფლავია.

მხატვარი გიორგი როინიშვილი

ციმცამ-ციცინათელისა და სამწერეთის ამბავი

ოთარ შალამბერიძე

ციმცამ-ციცინათელას
აუჯანყდნენ მწერები:
ღამით რომ არ გვასვენებ,
ნეტა, რას გვემტერები?
ჩაიქროლებ ქურდულად,
უთვალთვალებ საბუდრებს;
ჩვენი ბაღჩა-ბოსტანი
როდის დაისაკუთრე?!
სწორიაო,—ერდოზე
აჭრიჭინდა ჭრიჭინა,—
მაგ ნამცეცა ციმცამმა
საქმე არ გაგვიჭირა?!
სწორიაო,—ღობიდან
ჩამოსკუპდა კალია,—
მე რომ ძილი გამიკრთა,
სულ მაგისი ბრალია.
სწორიაო,—კრაზანამ
ბრაზი გადმოანთხია,—
ღამით მზეც კი ისვენებს,
მარტო დღისით ანთია.
— უცებ მოვრჩეთ ამ საქმეს,—
კოღომ დაიწუილა,—
მოვიშოროთ თავიდან,
რაღას ვლაყბობთ ტყუილად?
ბოლოს, ჭიამაიამ,
ცვარს რომ სვამდა ხის ძირას,—
ვეღარ მოითმინა და
მთელი ძალით იწივლა:
— რას სჩადიხართ მწერებო,
როგორ არა გრცხვენიათ?
ციმცამ-ციცინათელა
სწორედ ოქროს მწერია.
სიბნელეში ციმციმებს,
ჩვენს საბუდრებს დარაჯობს;
ნათელს ხელი როგორ ჰკრათ,
ბნელს ნათელი არა სჯობს?!
— შენ ვინ გეკითხებაო,—
შეჰბზუილეს მწერებმა,—
დიახ, ბნელი ღამეა
ჩვენი ბედნიერება.
ხელს ნუ გვიშლი საქმეში,
ჭკუით იყავ, თორემა,
სულ არ გაგვიჭირდება
მასთან შენი მორევაც.
შეკრთა ჭიამაია,
კეთილი და ფრთაცქვიტა,
ციმცამ-ციცინათელაც
მწერებს უხმოდ გასცილდა.

* * *

ღამე იყო უმთვარო,
ბნელზე ბნელი, ლუსკუმა.
ბაღჩა-ბაღი უეცრად
გააღვიძა კრუსუნმა.
რა მოხდაო, ნეტავი?—
ბუკიოტი კუსავს თვალს.
თურმე ნემსიყლაპიას
ნემსი გადაუსანსლავს.
დაფაცურდნენ მწერები
— დასტაქართან, ჰარიქა!—
მაგრამ ამ სიბნელეში
გზის გაგნება არ იქნა.
ვინც ექიმთან გაგზავნეს,
გაბედული, ძლიერი,
შველა, შველა დაბრუნდა
უკან ხელცარიელი.
უცებ, ღამის წყვდიადში
გაიბრწყინა სინათლემ.
რა სჯობს, როცა ახდება,
რასაც გულით ინატრებ?
მწერებს ასე აუხდათ
ერთადერთი ოცნება,—
ექიმ ხოჭოს არ უჭირს
თხრილზე გადმოცოცება.
წინ მოუძღვის დასტაქარს
(რა თქმა უნდა, იცანით)
ჩვენი ციცინათელა,
განდევნილი ციმცამი.
ნარ-ეკალში მოძვრება,
გზას ანათებს კვარივით.
ამას ჰქვია—კაცმა მადლს
მოაყაროს მარილი.
— ციმცამია ნამდვილად?—
გაიკვირვეს მწერებმა,—
მართლაც სულზე მოგვისწრო,
აი, ბედნიერება!
გზა უტიეს დასტაქარს
და მიუშვეს სნეულთან.
დასტაქარი მაშინვე
თავის საქმეს შეუდგა.
ციმცამ-ციცინათელაც
ჰასთუმალთან დაერჭო,
სხვაფრივ, ოპერაცია
იქნებოდა საეჭვო.
როცა სუყველაფერი
ჩინებულად დამთავრდა,
როცა ნემსიყლაპიაც
გონს მოეგო თანდათან,
დასტაქარმა პირველად
ციმცამს უთხრა მადლობა,—
შენ რომ არა, უთუოდ
გვძლევდა უსინათლობა.
ქირურგს შუქი თუ არ აქვს,
ზედმეტია მსჯელობა,
ოქროს ხელიც რომ ჰქონდეს,
წაუხდება ხელობა.
ამ უმთვარო ღამეში
მეც ვერაფერს შევძლებდი,
ხელში ჩამაკვდებოდა
ეს სნეული ცერცეტი.
დაიმორცხვა ციმცამმა,
მასზე ითქვა, რაც ითქვა:
შექებისგან საკუთარ
ფრთებზე უფრო გაწითლდა.
შერცხვათ მწერებს, დამუნჯდა
თვითეული მათგანი.
გულში აწონ-დაწონეს
დასტაქარის ნათქვამი.
მერე ყველას შეუჩნდა
ფიქრის თითო ფარტენა:
„კაცმა რომ თქვას, რას ვერჩით
ციმცამ-ციცინათელას?
ავადმყოფის სიცოცხლე
თურმე ბეწვზე ეკიდა.
კიდევ კარგი, ციმცამმა
რომ არ გაგვთქვა ექიმთან“.
— რაღას დარდობთ, მოყვრებო,
დარდი მაწყინარია,—
სამწურეთის დუმილი
დაარღვია კალიამ,
— მოამზადეთ თუნგულაც
და ცვარ-ნამით აივსეთ,
ექიმიც და ციმცამიც
დავპატიჟოთ ჩაიზე.
ამ დროს ჭიამაია,
სამწერეთის ხმაურზე
ამოსკუპდა ბუჩქიდან
მზად გახლავთო საუზმე.

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

იმ წვიმიან საღამოს...

მერაბ ბერაძე

მხატვარი ლადო ტატიშვილი

ვინა თქვა, ქვეყნად სასწაულები არ ხდებაო? ხდება და რამდენი.

ისე, ჩვენში დარჩეს და ჩემთვის რომ მოეთხროთ ეს ამბავი, იქნებ არც მე დამეჯერებინა, მაგრამ რაც მე თვითონ გადამხდა, იმას რა წყალი გაუვა?

წყალზე გამახსენდა — იმ დღეს ისე წვიმდა, რომ ჩვენს ეზოში უცებ დადგა ვეება გუბე (მეზობლებმა რა ხანია ამაზე განცხადება დაუწერეს სახლმმართველს, მაგრამ იმას, ეტყობა, არაფერი ენაღვლება და ყურს არ აპარტყუნებს. თუმცა ეზოს ბავშვები, პირიქით, ძალიან გახარებული ვართ და გუბეში მთელი დღე მოტორიან მოდელებს ვაცურავებთ). ჰოდა, იმას ვამბობდი, სასწაული რამდენიც გინდათ, იმდენია-მეთქი...

საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, სადილობის შემდეგ „ყაყიტას ქურდებს“ რომ ჩავუჯექი. ამბავმა თავიდანვე დამაინტერესა და არც ვაპირებდი თავის განებებას, მაგრამ ამ დროს ტელეფონმა დარეკა და ყურმილს მივწვდი. ხათუნა იყო, ჩემი მეზობელი.

— გინდა სასწაული ნახო? — მკითხა და ჩაიცინა. ხათუნა ციცინო არ გეგონოთ: საბავშვო ბაღში ერთად დავდივართ და კარგად ვიცნობ.

— რა იყო? — დავინტერესდი მე.

— სახლში ვეფხვი, ნიანგი და არწივი მყავს! — ჩაილაპარაკა ისე ჩვეულებრივად, თითქოს არაფერი მომხდარაო.

— წადი! — უნებურად ამომხდა მე.

— დედას გეფიცები! — გულწრფელად თქვა ხათუნამ.

— ხათუნა!

— თუ არ გჯერა, რა ვქნა?

ყურმილი სწრაფად დავაგდე და ერთ წამში სადარბაზოში გავვარდი. როგორ გავჩნდი მეექვსე სართულზე, აღარც მახსოვს. ხათუნა ღია კარებში იდგა და ღიმილით შემომყურებდა.

— მომატყუე?

—გიგა, ჩემგან ტყუილი გაგიგონია? — მითხრა მან და კარებში გზა დამითმო, — ოღონდ უცებ ნუ შევარდები!

მშიშარა არ ვარ, მაგრამ ასე ჯიქურ ოთახში შევარდნას მართლა ვერ გავბედავდი. სასტუმროს კარი ფრთხილად შევაღე და გავშეშდი...

ტახტზე ხუთმეტრიანი ზოლებიანი ვეფხვი იყო გაწოლილი და მისი სიმძიმისაგან ტახტი მთლად ჩაზნექილიყო. ეს რა სილამაზე

ნახა ჩემმა თვალებმა! უზარმაზარი მტაცებელი ძველი ნაცნობივით მიყურებდა და, მე მომეჩვენა თუ ასე იყო ნამდვილად, მომესალმა კიდევაც. გაშტერებულმა ოდნავ დავუკარი თავი და ხათუნას გადავხედე.

— ბიძაჩემმა ჩამოიყვანა აფრიკიდან! — გაიღიმა ხათუნამ. — ხომ ლამაზია?

ამას კითხვა უნდოდა? უცებ, ჩემს წინ რაღაც უშველებელი აფრთხიალდა და ვეება არწივმა ტელევიზორიდან ლოჯში მდგომ მაცივარზე გადაინაცვლა. შიშისაგან მუხლები ამიკანკალდა და კინაღამ ჩავიკეცე.

— ფრთხილად! — დამიძახა ხათუნამ და იატაკზე გაშოტილ ნიანგზე მიმითითა. მართალია, ნიანგიც, ვეფხვიცა და არწივიც რამდენჯერმე მყავს ნანახი ზოოპარკში, მაგრამ ასე ახლოს — არასოდეს.

ახლა ალბათ კითხულობთ ამ სტრიქონებს და ფიქრობთ, ეს რა მატყუარასთან გვქონია საქმეო! მაგრამ ნუ აჩქარდებით. მე რომ მატყუარა ვიყო, მაშინ იმას დავახეთქებდი, ჩემკენ გამოქანებული ვეფხვი როგორც ტარიელმა ხელით მოვახრჩვე, შემდეგ ნიანგი დავანარცხე, შეშინებული არწივი კი თვალსა და ხელს შუა გამიფრინდა-თქო, მაგრამ ხომ არ ვამბობ! ერთი სიტყვით, ვდგავარ შუა ოთახში და აღარ ვიცი, რა ვქნა. თქვენ რომ პირადად გამოსცადოთ ასეთი რამ, მაშინ ადვილად გამიგებთ, რა დღეში ვიყავი. ეს ხათუნა კი ირინე ბუგრიმოვასავით დადის ოთახში და ეშმაკურად მიღიმის. ბოლოს და ბოლოს შემრცხვა. ეს თითისტოლა გოგო თუ ასე გაუშინაურდა მხეცებს, მე რა ჯანდაბა დამემართა-თქო. ვატყობ, რომ ნელ-ნელა ვმშვიდდები და ერთი ხანობა მტაცებლების მოფერებაც კი გადავწყვიტე. ხელი გავწიე კიდევაც და უცებ გარეთ ისეთმა ელვამ გაჰკრა, რომ ყველაფერი მოასინათლა. ელვამ ცოტა დაფრთხო ვეფხვი, მაგრამ შეიძლება არაფერიც არ მომხდარიყო, რომ იმავე წამში საშინლად არ დაგრუხუნა...

ვეფხვმა ერთი დაიღრიალა, ნელ-ნელა აიწურა და ხერხემალი მორკალა. თვალებში ათასი ნაპერწკალი ჩაუდგა და ჩემკენ წამოვიდა: ნიანგი შრიალით გამოჰყვა, არწივმაც ფრთები ააფრთხიალა... პირში ნერწყვი გამიშრა და გულმა ბაგაბუგი დამიწყო. ვატყობ, რომ ამ მხეცებს ვერაფრით ვერ გადავურჩები. თავში ათასმა აზრმა გამიელვა. პირველ რიგში ხათუნას ბიძაზე მომივიდა გული, ხალხს აფრიკიდან სუვენირები ჩამოაქვს, ამას კი რა ვეფხვი, არწივი და ნიანგი აუტყდა-მეთქი... მერე ჩემს თავზე გავბრაზდი, რომელი ცხოველების მომთვინიერებელი მე ვარ, ასე გიჟივით რომ გამოვვარდი ამათ სანახავად-თქო...

ვეფხვმა ერთხელ კიდევ დაიღრიალა და მე თვალები დავხუჭე.

უფრო სწორად, გავახილე... შვიდს აღარაფერი აკლდა. ზუსტად ერთი საათი მძინებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კარლო კობერიძე

ხენდრო

დედა ენის გარდა სხვა ენაც რომ იცოდე, ამას რა სჯობია, თუ ერთის გარდა ორი, სამი, ოთხი და მეტი უცხო ენაც გეცოდინება — მთლად უკეთესი! ხალხური სიბრძნე გვასწავლის — რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო! ბევრი ენის მცოდნეს პ ო ლ ი გ ლ ო ტ ი ჰქვია.

მაგრამ დედა ენაზე რომ ვსაუბრობთ და უცხო სიტყვას გამოვურევთ ხოლმე, ეს ძალიან ცუდია, განსაკუთრებით მაშინ, როცა იმ აზრის გადმოსაცემად მშვენიერი სიტყვა მოგვეპოვება ჩვენს მშობლიურ ენაზე. სიტყვა „მშობლიური" რასაც გვეუბნება, ადვილი მისახვედრია და უნდა დავუჯეროთ კიდევაც — ისე უნდა გვიყვარდეს მშობლიური ენა, როგორც ჩვენი ამაგიანი მშობლები.

გაზაფხულია. მაისის ბალი უკვე მოილია, ხ ო მ ა რ დ უ ლ ი ჩატკბა, თუთასაც ფერი დაეწმინდა. ამ დროს მინდორში, ტყისპირზე, წარაფში რომ გაივლი (წ ა რ ა ფ ი „ნახნავებს შუა დარჩენილ კვალს ჰქვია"), უეჭველად ნახავ მარწყვს.

მ ა რ წ ყ ვ ი ერთბაშად კი არ მწიფდება, თანდათან, თითქოს მიყოლებით იცის შემოსვლა — ზოგი მწიფეა უკვე, ზოგი დ ა ს ა- მ წ ი ფ ე ბ ლ ა დ შ ე მ ღ ვ რ ე უ ლ ა, ზოგი გ ა მ ო ხ ო რ ბ ლ ი ლ ა, ზოგიც ახლა გამოდის ყვავილობიდან — თითქოს ამით გვეუბნება, რაც თვალმისასვლელი, ტკბილი და გემრიელია, გამოზოგვა უნდაო.

მინდორში მარწყვი დამწიფდა,
სურნელი მისწვდა ტყესაო,
მე კი საჩეხის გრილოში
თელაურ ნამგალს ვლესავო.
რა დროს თიბვაა, შე კაცო—
ქმა შემომცინის ეზოდან—
როცა მარწყვობა ჩხივლის,
ნამგალი მაშინ ვლესოთა.

ზოგი მარწყვის ნაყოფი მრგვალია, ზოგიც წვრილი და წაგრძელებული. წვრილი და წაგრძელებული მარცვლები რომ აქვს, ძ უ ძ უ- მ ა რ წ ყ ვ ა ს ვეძახით. სულხან-საბა ორბელიანი ასეთ მარწყვზე ამბობს, მ ე ლ ი ს (მ ე- ლ ი ი ს) კ ა კ ა ლ ა ჰქვიაო. რა კარგი სახელი რქმევია, არადა, ეს სიტყვა მივიწყებულია ჟერჟერობით.

არის კიდევ ჩვეულებრივ მრგვალ მარწყვზეც და, რაღა თქმა უნდა, ძუძუმარწყვასა ანუ მელისკაკალაზეც გაცილებით დიდი მარწყვი — ეს ტყისპირის, მინდვრის, წარაფის ჩვეულებრივი მარწყვია, დამუშავებულ ანუ კულტურულ მიწაში გადავიტანეთ და ასე ძალიანაც ამიტომ დამსხვილდა — გ ა ლ ა- ღ დ ა.

მარწყვი რომ შემოდის, ბაზარში გაჩნდება ხოლმე ხ ე ნ დ რ ო. ხენდრო „მარწყვის ერთ-ერთი სახეობაა... მსხვილ, სურნელოვან ნაყოფს ისხამს".

ხენდროს დაბარვა, გათოხნა, გამარგვლა, ზედმეტი ფოთლების, ს ვ ე ს შ ე რ ი დ ე ბ ა, გ ა მ ო ხ შ ი რ ვ ა უნდა. რამდენიმე წლის შემდეგ მიწა თუ არ გამოეცვალა, თუ არ გადაირგო, გადაშენდება. მცენარის გადაშენებას გ ა პ ა რ ვ ა ს ა ც ვეძახით — ხენდრო გაიპარა, ესე იგი, გადაშენდაო. ამიტომ არის, რომ ველური ხენდრო არ გვხვდება.

ყველაზე საოცარი ის არის, რომ ხენდროს ნაცვლად რუსულ სიტყვას „კლუბნიკას" ვხმარობთ. იშვიათად შემხვედრია ისეთი ვინმე, ბაზარზე ხენდროს ყიდვა უნდოდეს და გამყიდველს — დ ა ხ ლ ი დ ა რ ს ჰკითხოს, რა ღირს შენი ხენდროო! არადა, რა მშვენიერი სახელია — ხენდრო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა შარაშიძე

კეთილი საქმის ოსტატები

ბებია ეკატერინე თელავში ცხოვრობს, კუდრაჭა მზია კი თბილისელი გოგოა. ხან ბებია ჩამოდის სტუმრად მზიასთან თბილისში, ხანაც მზია ესტუმრება ხოლმე თელავში ბებიას.

ეს ამბებიც ზოგი თელავში ხდება, ზოგი თბილისში.

მესროლე, თუ ბიჭი ხარ

მიდის მზია ერთხელ ქუჩაში, ნათელი, კაშკაშა, მზიანი ამინდია, მიდის გოგონა და მიუხარია. უცბად სახე მოეღრუბლა — ნიკო დაინახა. ნიკო მეზობლის ბიჭია, ონავარი და ქვასროლია, ახლაც შუა ქუჩაში თოჯინა დაუსვამს და ქვებს ესვრის.

— რა დაგიშავა, რატომ ესვრი?! — დაუძახა მზიამ.

ნიკომ ყურიც არ შეიბერტყა და თოჯინას ქვა შუბლში მოარტყა.

— ვაიმე! — ისე წამოიძახა მზიამ, თითქოს თვითონ მოხვედროდა ქვა.

— ახლოს არ მიხვიდე, თორემ მაგის მაგივრად შენ მოგხვდება. — გააფრთხილა ნიკომ.

მზიას არ შეეშინდა, თოჯინასთან მიირბინა, ხელში აიყვანა და ნიკოს დაუძახა.

— მესროლე, თუ ბიჭი ხარ!

ნიკო დაიბნა, აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა, ბოლოს ქვა გადააგდო და წასვლა დააპირა.

— მოიცა! — მიაძახა მზიამ, — ვისია ეს თოჯინა?!

— არ ვიცი, — უგულოდ უპასუხა ნიკომ, — გადაგდებული ვიპოვე.

გადაგდებული თოჯინა მზიამ სახლში წაიყვანა, ბებიასთან ერთად თბილ წყალში აბანავა, თმა დავარცხნა, ახალი კაბა შეუკერა და ფანჯრის რაფაზე შემოსვა.

თაიგულები ჯარისკაცებს

ბებიას სახლთან, ნაძვნარით დაფარულ პატარა გორაკზე ჯარისკაცების სამი ქანდაკება დგას. მუშტები მაგრად მოუკუმავთ და დედამინას კუშტად დასცქერიან.

— ესენი ომში დაღუპული მებრძოლები არიან. — ამბობს ბებია.

ეცოდება მზიას ომში დაღუპული მებრძოლები, მოხვევს ხელს რომელიმეს და კარგა-

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ხანს დგას გარინდებული.

საღამო ხანია. ტელევიზორში ფილმს უჩვენებენ ომზე, ისე ძალუმადა გრუხუნებენ ტანკები, რომ ლამის ბებიას პატარა, ძველი ტელევიზორი შუაზე გასკდეს. სუნთქვაშეკრულები უყურებენ ფილმს მზია და ბებია.

ეროვ. ბიბ. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ჯარები კი ამ დროს ბერლინში შედიან და რაიხსტაგის თავზე გამარჯვების დროშას აფრიალებენ.

— გავიმარჯვეთ, ჩემო კუდრაჭავ, გავიმარჯვეთ! — ამბობს ბებია.

დილით კი ორივეს პატარა გორაკზე, ნაცნობ ჯარისკაცებთან ყვავილების თაიგულები მიაქვთ.

მკურნალი სურათები

ბავშვთა საავადმყოფოს ნათელი პალატის ერთ კუთხეში ფანჯარასთან წევს მზია. მარცხენა ხელი თაბაშირში უზის და კისერზე ბინტითა აქვს ჩამოკიდებული.

არ იკითხავთ, რა მოუვიდა? რა და, ხელი მოიტეხა, სრულიად შემთხვევით — საბავშვო ბაღის ეზოში საქანელადან ჩამოვარდა; ტკივილისაგან შეწუხებული საავადმყოფოში მიიყვანეს.

მზია თავის მოტეხილ ხელს სულაც არ დარდობს, ახალი საქმე გაიჩინა — მარჯვენა ხელი ხომ თავისუფალი აქვს! ჰოდა, იმ ხელში ახლა ფლომასტერები უჭირავს, ანუულ მუხლებზე თეთრი ფურცლები უწყვია და ხატავს. ხატავს ყვავილებსა და მზეს, ლამაზ პეპლებსა და გულყვითელა ჩიტუნებს, ხატავს და შემდეგ ამ ნახატებს ავადმყოფ ბავშვებს ურიგებს.

— იცით? — ილიმება მზიას მკურნალი მოხუცი პროფესორი, — ამ გოგონას ნახატები ბავშვებს წამლებზე უკეთესად კურნავენ.

უხარია მზიას. ისე უხარია, რომ ზოგიერთ ნახატს ბებიას უგზავნის თელავში — ბებია ხშირად ავადმყოფობს, მზიას ნახატები იმასაც მოუხდება.

მხატვარი გიორგი რობინიშვილი

აბა სცადე!

„დილის“ რედაქციას ახალგაზრდა ილუზიონისტი ზურაბ ვადაეკორია ეწვია და ერთი ოინი გვასწავლა. რა თქმა უნდა, ნამდვილი ილუზიონისტივით რთული ფოკუსების კეთება ხანგრძლივ ვარჯიშსა და დიდ ოსტატობას მოითხოვს, მაგრამ, თუ ამ შედარებით იოლი ფოკუსის გაკეთებას თქვენც შეძლებთ, მოგვწერეთ და ზურაბი ახალ ოინებს გასწავლით.

მეტრონახევრის სიგრძის ორ თოკზე ერთიმეორის მიყოლებით ვაცვამთ სამ გახვრეტილ ხის ბურთულას (ისე, როგორც ნახატზეა ნაჩვენები). თოკების ბოლოებს ვაწვდით ორ ამხანაგს, ვინც, რა თქმა უნდა, არ იცის ამ ფოკუსის შინაარსი, და ვითხოვთ, რომ თვლაზე: ერთი... ორი... სამი... თოკები თავისკენ ძლიერად გაქაჩონ. გაჭიმვისთანავე ბურთები უნდა გათავისუფლდნენ და ქუდში ჩაცვივდნენ.



ოინის ახსნა მე-19 გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



წამკითხველი მანქანები

უშანგ სახლთხუციშვილი

როგორ უნდა წაიკითხოს მანქანამ?

წარმოიდგინეთ პატარა აპარატი, რომელსაც ცალ მხარეს ეკრანი აქვს მიერთებული. აი, ესეც წასაკითხი ტექსტი — წიგნის ფურცელი, გაზეთი ანდა ჟურნალის გვერდი... ტექსტს ზედ დააფარეთ აპარატის ეკრანი, თუ განევა ან გამოწევა დაგჭირდათ, გაასწორეთ, და აპარატი ჩართეთ. მალე გაიგონებთ სიგნალს, რომ ნაპოვნია საწყისი სტრიქონი. და აი, ხმამაღლა მოლაპარაკეში ისმის სასიამოვნო ხმა. აპარატი კითხულობს „მიცემულ“ ტექსტს.

ასეთი წამკითხველი მანქანების შექმნა ძირითადად უსინათლოებისათვის იყო საჭირო. მანქანას მათთვის მხედველობის მაგივრობა უნდა გაეწია. უსინათლოებზე ადრეც ზრუნავდნენ. მათ რომ წერა-კითხვის საშუალება მისცემოდათ, გამოიგონეს, მაგალითად, ბრაილის შრიფტი. პატარა ლითონის დაფაზე დადებულ ფურცელს სადგისის მსგავსი ხელსაწყოთი ჩხვლეტენ, უსინათლოები ამ ნაჩხვლეტებს თითებით სინჯავენ და იმისდამიხედვით, თუ რამდენი ნაჩხვლეტი არის უჯრაში ან როგორ არიან ისინი განლაგებულნი, სცნობენ ასოებს. მაგრამ წარმოიდგინეთ, ასე დაწერილი თუნდაც ბუტატინოს თავგადასავალი რამოდენა წიგნი გამოვა და თან, რამდენი დრო დასჭირდება მის დაწერასა და გამრავლებას. ამიტომ მსოფლიოს მრავალი მეცნიერი ცდილობდა, როგორმე უკეთესი საშუალება გამოენახა უსინათლოების დასახმარებლად.

ჯერ კიდევ 1894 წელს რუსმა ინჟინერმა ტიურინმა გააკეთა მეტად მარტივი წამკითხველი მანქანა. ტიურინის მანქანამ ბევრად ვერ გააუმჯობესა უსინათლოების მდგომარეობა, მაგრამ იგი გახდა წინამორბედი თანამედროვე წამკითხველი მოწყობილობებისა, რომლებიც ახერხებენ ნაბეჭდი ტექსტების მეტყველებად გარდაქმნას.

1966 წელს ამერიკელმა რაიმონ კურცვაილმა დაიწყო ამ ტიპის მანქანის შექმნაზე მუშაობა. 1978 წელს კი კურცვაილის მანქანა საჯარო გამოყენებაში გაუშვეს — იგი დაიდგა სკოლებში, ბიბლიოთეკებში, ჰოსპიტლებში და სხვა.

ასეთი მანქანის შექმნაზე მუშაობენ აგრეთვე საბჭოთა კავშირში, იაპონიაში, საფრანგეთში და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მაგრამ დღეს წამკითხველი მანქანები მარტო უსინათლოებისათვის არ კეთდება, მათ ფართოდ იყენებენ სახალხო მეურნეობაში.

ავთანდილ ადეიშვილი

რას მიირთმევს რობოტი?

მამამ საკონსტრუქტორო ბიუროდან რობოტი მოიყვანა და თორნიკეს უთხრა:

— ეს რობოტი დროებით ჩვენთან იცხოვრებს, ზოგ-ზოგი რამ უნდა შევასწავლო. მერე კი ქარხანაში წაბრძანდება.

თორნიკემ რობოტი შეათვალიერა და მამას ჰკითხა:

— მამა, მამიკო! ეგ შენი რობოტი, გარდა იმისა, რომ დაბაჯბაჯებს და ყველა თხოვნას გისრულებს, კარაქიან პურს და ფაფას თუ ჭამს?

— არა, შვილო, ეს დენის წყაროთი იკვებება.

— ჰოდა, აქედანვე იცოდეს, რომ მე მაგის წილს არაფერს შევჭამ, სულ რომ თხოვნით ყელი გამოიღადროს. მეყოფა, რატის კარაქისა და ფაფის ულუფასაც მე რომ ვჭამ.



მხატვარი ლალი ლომთაძე

მიხეილ ქვლივიძე

გოგიმ დაიმორცხვა

დედამ ჰკითხა გოგიას:
— ლექსი მისალოცი
ბავშვებს რად არ უთხარი?
— იმიტომ, რომ მოვრცხვი.

გოგიმ თვლა ისწავლა

გოგი ითვლის:—თოთხმეტ, თხუთმეტ,
თექვსმეტ, ჩვიდმეტ, თვრამეტი...
— მერე?—მერე ცხრამეტი და
იმის შემდეგ... ა თ მ ე ტ ი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲠᲘᲠᲝᲕ

ᲠᲘᲜᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐ

მეტრონახევრის სიგრძის ორ თოკს წინასწარვე გადაკეცავთ და მათივე ფერის ძაფით გადაკერავთ. უნდა ვეცადოთ, რომ გადაკერილი კვანძი მაყურებლისათვის შეუმჩნეველი დარჩეს. ბურთების წამოცმამდე კვანძი თითებით უნდა დავმალოთ. ხოლო ფოკუსის დემონსტრაციის დროს თოკების ზოლები ისეთი თანამიმდევრობით უნდა მივაწოდოთ ორ ამხანაგს, როგორც ეს ნახატზეა დანომრილი.

გასაიოლებლად ნახატზე თოკებს სხვადასხვაფერად გიჩვენებთ, ისე კი ორივე თოკი ერთი ფერისა უნდა იყოს.

როცა თვლაზე: ერთი... ორი... სამი... თოკებს გაქაჩავენ, გადაკერილი ადგილი განყდება, ბურთები ჩამოცვივა, და მონაწილეებს მთლიანი თოკები შერჩებათ ხელში.





საქართველოს ალკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1904 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ᲔᲜᲕᲔᲠ ᲜᲘᲟᲐᲠᲐᲫᲔ

სარედაქციო კოლეგია: ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲐᲛᲒᲝᲙᲐᲫᲔ, ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲐᲜᲗᲐᲫᲔ, ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲒᲐᲒᲣᲐ, ᲛᲔᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲓᲔᲓᲣᲠᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲚᲘᲚᲘᲐ ᲔᲠᲐᲫᲔ, ᲒᲔᲚᲐ ᲚᲝᲛᲡᲐᲫᲔᲠᲘᲫᲔ, ᲛᲐᲣᲠᲐᲚᲐ ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲯᲣᲠᲐᲑ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲠᲝᲠᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ), ᲗᲘᲜᲘᲜᲘᲜ ᲩᲐᲚᲐᲣᲠᲘ (ᲐᲛᲮ. ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ), ᲒᲘᲕᲘ ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ, ᲒᲘᲕᲘ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ, ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲩᲐᲠᲐᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ტექნიკური რედაქტორი
ᲔᲜᲓᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებების: 93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწყობად 4. 02. 87 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 08. 87 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზ. ნაბ. ფურცელ. 2,5. ტირაჟი 168.000, შეკვეთა 338.

ყდაზე ნახატი ᲒᲔᲡᲝ
ᲮᲘᲓᲐᲨᲔᲚᲘᲫᲔ

«Дила» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 338.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76055



მხატვარი მიხეილ სოლოვიოვი

რომელი ბავშვი არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ქუჩაში?

რამდენ საათს ხედავ სურათზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა